საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010188432587420

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№578 15 / იანვარი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ალექსი ჟვანიას

ბატონო ალექსი,

როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლის 10-21 სექტემბრის პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის შემფასებელი მისია (European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment – CPT), რომელმაც 2019 წლის 10 მაისს გამოაქვეყნა ვიზიტის შემდგომი ანგარიში და ითხოვა მიმდინარე პროგრესის შესახებ ინფორმაციის პერიოდული მიწოდება შემდგომ საკითხებთან დაკავშირებით:

- სურამის, ქუტირისა და ხელვაჩაურის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ჩატარებადა განახლებული ინფრასტრუქტურის შესაბამისად სივრცის ზრდა (იხ. CPT ანგარიში, პარაგრაფი 118);
- ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ყველა პაციენტისთვის საწოლების შეცვლა და დაწესებულებაში განთავსებული პირების რაოდენობაგანყოფილებების მიხედვით (იხ. CPT ანგარიში, პარაგრაფი 118);
- ქუტირისა და ხელვაჩაურის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში განთავსებული პაციენტებისთვის ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე გასვლისა და გარე აქტივობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (იხ. CPT ანგარიში, პარაგრაფი 130).

გთხოვთ, მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

დანართი: 70 (სამოცდაათი) ფურცელი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საერთაშორისო საჯარო სამართლის
დეპარტამენტის უფროსი (პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

ქეთევან სარაჯიშვილი